საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თლილი

თლილი, ღრმანი, მთა ხულოსა და ადიგენის მუნიციპალიტეტების საზღვართან არსიანის ქედის აღმ. განშტოებაზე, მდინარეების ძინძისწყლისა (ქვაბლიანის მარჯვ. შენაკადი) და ღრმანისწყლის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე 2540 მ. აქვს გუმბათისებრი მოყვანილობა. აგებულია ანდეზიტ-დაციტური ლავით. კალთებზე ზოგან ქვაყრილებია. შემოსილია სუბალპ. მდელოებით.

ქ. ჯაყელი